სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/09

ქ. თბილისი 5 თებერვალი 2024

უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 30 იანვრის №0000090390 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 5 თებერვლის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/06 დადგენილებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-2 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. „ბილინგ“ განყოფილების კომპეტენციას მიეკუთვნება:
ა) უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (vici.gtu.ge) ბაზაში სტუდენტთა ფინანსური ვალდებულებების მონიტორინგის ჩატარება, ანალიზი და ანგარიშების მომზადება;

ბ) გადახდის სტანდარტული გრაფიკების შექმნა/განახლება და სტუდენტისთვის გადახდის გრაფიკების მიბმა/რედაქტირება;
გ) სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების კორექტირება/მონიტორინგი;
დ) საბანკო ტრანზაქციების, სასწავლო/სამაგისტრო/სოციალური გრანტების, პროგრამული დაფინანსების ტრანზაქციების ასახვა;
ე) გრანტებისა და პროგრამული დაფინანსების შაბლონების შესაბამისად სტუდენტების ბაზაში ასახვა;
ვ) ფინანსური შაბლონების მიხედვით, სტუდენტებისთვის შეღავათების ასახვა, ფაკულტეტის მიერ სტუდენტის დაფინანსებისა და სტუდენტის გადახდის გრაფიკის ცვლილების ასახვა, მათ შორის, პროგრამის მოდიფიცირების გამო, შედარების აქტის საფუძველზე, კრედიტების კორექტირება;
ზ) კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

ბ) დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებული იქნეს.

დ) დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**